პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1976 წ.
№ 137 (5687) 13 ივლისი, სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

აქტიური დასვენება

მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კულტურის სასახლეში ყოველ საღამოს ასობით მუშა და მოსამსახურე იყრის თავს. ისინი მეცადინეობენ 60 თვითმოქმედ შემოქმედებით კოლექტივში, სახალხო უნივერსიტეტში, იკრიბებიან კლუბებში. ავტოქარხნელთა ხშირი სტუმრები არიან „მოსფილმისა" და სატირის თეატრის მსახიობები, მხატვრები, რომლებსაც საწარმოსთან დადებული აქვთ ხელშეკრულება შემოქმედებითი თანამშრომლობის შესახებ. დასვენების დღეებში ეწყობა ქალაქგარეთ სეირნობა, ლაშქრობები, ექსკურსიები, სპორტული შეჯიბრებები...

ასეთი მაგალითი ადამიანთა კულტურული დასვენების უნარიანი ორგანიზაციისა და მათი სულიერი ზრდისთვის ზრუნვისა არაერთი გვაქვს, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა ეს საშური საქმე დროის მოთხოვნებს სრულად უპასუხებდეს. სკკპ XXV ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო პიროვნების ჰარმონიული და ყოველმხრივი განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნას. მოსახლეობის ჯანმრთელობის გაკაჟებისა და თავისუფალი დროის უკეთ გამოყენების მიზნით, უნდა სრულვყოთ მშრომელთა აქტიური დასვენების ორგანიზაცია, — ნათქვამია „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებში 1976-80 წლებში".

იქ, სადაც დასვენების დღეები და სამუშაო ცვლის შემდგომი საათები საინტერესოდ ტარდება, ადამიანები სიმხნევითა და სულიერი ენერგიით იმუხტებიან. მაგრამ ამისთვის საჭიროა, აუცილებელია ინიციატივა, გეგმაზომიერი ორგანიზაცია. აქ დიდ როლს თამაშობს კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმები. მინსკის საქარხნო რაიონში, მაგალითად, გეგმებში ჩართულია იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და მორალური აღზრდის, შინაარსიანი დასვენების კონკრეტული პროგრამა. ეს გეგმები მუშავდება პარტიის რაიონული კომიტეტის თაოსნობით, ფართო აქტივის მონაწილეობით. და, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, რომ კლუბები, ქალაქგარე დასვენების ბაზები, სახალხო უნივერსიტეტები, საავტომობილო, სატრაქტორო და სხვა ქარხნების მრავალათასიანი მუშათა არმიის კულტურის ნამდვილ საამქროებად იქცნენ.

მატერიალური ბაზა ერთ-ერთი მთავარი წინამძღვარია აქტიური დასვენების ორგანიზაციისა. მაგრამ ზოგან ეს ავიწყდებათ. მაგალითად, დნეპროპეტროვსკის სამთოსამაჩტო მოწყობილობის ქარხნის მუშები სამართლიან პრეტენზიებს უყენებენ თავიანთს ხელმძღვანელებს. საწარმოს არა აქვს კლუბი, სპორტული ნაგებობები, ცუდადაა მოწყობილი დასვენების ადგილები. კრებებზე, მშრომელთა წერილებში, მრავალჯერ გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები, მაგრამ ისინი უყურადღებოდ დარჩა. ასეთი გულგრილი დამოკიდებულება კოლექტივის სასიცოცხლო ინტერესებისადმი ეწინააღმდეგება ჩვენი ცხოვრების ხასიათის თვით არსს, იმსახურებს პრინციპულ პარტიულ შეფასებას.

ადამიანები მუდამ მხურვალედ ეხმაურებიან გულისხმიერ, გულთბილ მიდგომას. შინაარსიანი, საინტერესო საღამო პარკში ან კულტურის სახლში, ექსკურსია, რომელიც ხელს გვიწყობს უფრო ღრმად ჩავიხედოთ ისტორიულ წარსულში, ჩვენი დროის დიადი მოვლენები, კოლექტიური სვლა თეატრში პრემიერაზე და შეხვედრა ცნობილ ლიტერატორთან მშობლიურ ქარხანაში — ყოველივე ეს და მრავალი სხვა აღიქმება, როგორც სიხარულის მომნიჭებელი ზეიმები. რა თქმა უნდა, ერთი აუცილებელი პირობით: თუ ორგანიზატორები მუდამ იჩენენ თაოსნობას, ითვალისწინებენ საერთო სურვილებსა და მოთხოვნებს.

ПРАВДА 11 ივლისის მოწინავე

ახლა ზაფხულია. ადამიანებს განსაკუთრებით სურთ თავისუფალი დრო გაატარონ ბუნებაში, ლაშქრობებში, მოგზაურობებში. მარტო პროფკავშირები წლეულს 9 ათასზე მეტ სარკინიგზო, 6 ათასზე მეტ საწყლოსნო, 30 ათას საავიაციო ტურისტულ რეისს აწყობენ. დამსვენებლებს ელით 958 სასტუმრო და მოტელი, ტურისტული ბაზა, რომლებიც 332 ათას კაცს დაიტევს. ეს 30 ათასით მეტია, ვიდრე შარშან იყო. უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ მოგზაურობის მოყვარულებმა ქვეყნის ყოველ ღირსშესანიშნავ კუთხეში აუცილებელი მომსახურებით ისარგებლონ. როგორც პრაქტიკამ დაგვანახვა, ამისთვის საჭირო არაა დიდი კაპიტალური დაბანდებანი. საინტერესოა, მაგალითად, ლატვიის გამოცდილება. ტურისტთა შორის პოპულარულ ადგილებში, რესპუბლიკის ბევრ რაიონში, გარდა სტაციონარული სასტუმროებისა, ზაფხულობით შენდება პატარა ქალაქები ასაწყობი სახლებით. ეწყობა მანქანების სადგომი, გახსნილია ბუფეტ-სასაუზმეები, სამზარეულოები გაზის ქურებით. მათ, ვისაც სურს შვებულება სოფლად გაატაროს და შესაძლებლობის ფარგლებში საველე სამუშაოებსაც შეასრულებს, იჯარით მიეცემათ სახლები. მას, ვინც ცდილობს აქტიურ, ჯანმრთელ დასვენებას ეზიაროს, ეს სიახლე აუცილებლად მოეწონება.

გასაგებია, რომ ზაფხულობით ყველა როდი გაემგზავრება სამოგზაუროდ. ბევრი შვებულებას შინ გაატარებს, მაგრამ მათაც საინტერესოდ და სასარგებლოდ უნდა დაისვენონ. ამისთვის ბევრი შესაძლებლობაა: ქალაქგარეთ გამგზავრება, პარკების, სტადიონების, კულტურის კერების მონახულება. კეთილ სიტყვას იმსახურებენ ბაღის ამხანაგობები, რომლებში მონაწილეობაც ხელს უწყობს ბუნებაში აქტიურ დასვენებას. ქალაქის მცხოვრებთა დასვენება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ტრანსპორტზე, მომსახურების სფეროზე. ფართოდ გავშალოთ საკარვო ვაჭრობა, მოვაწყოთ სპორტული ინვენტარის გაქირავების პუნქტები, სეზონის მოთხოვნილების სხვა საგნების გამოფენა-გაყიდვა. ყოველივე ეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, ამ საქმესთან ახლო მყოფი სამინისტროებისა და უწყებების პირდაპირი მოვალეობაა.

ზაფხული დიდ შესაძლებლობებს ქმნის საცხოვრებელ ადგილებში საინტერესო ღონისძიებების ჩასატარებლად: ქუჩების, დღესასწაულები, მუსიკალური ფესტივალები, ფიზკულტურელთა შეჯიბრებები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მოზარდთა დასვენების საკითხი. საბავშვო მოედნები, სპორტული ქალაქები, მოსწავლეთა ბანაკები, წრეები სახლმმართველობებთან — ყოველივე ეს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირის, კომკავშირის ყურადღების არეში უნდა იყოს.

სოციალისტური სახელმწიფო ყველაზე ხელსაყრელ პირობებს ქმნის საიმისოდ, რომ ყოველი საბჭოთა ადამიანი მუდმივად იმდიდრებდეს ცოდნას, იმაღლებდეს კულტურულ დონეს, მორალურად და ფიზიკურად სრულყოფილი იყოს, რაციონალურად იყენებდეს თავისუფალ დროს. ამ კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება აქტიური დასვენებაც, რისთვისაც ზაფხული შესანიშნავი დროა.

გუშინ XXI თამაშების დედაქალაქის ოლიმპიურ სოფელში საზეიმო ვითარებაში აღიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი.

MONTREAL — ოლიმპიური თამაშების გახსნამდე დარჩა 4 დღე

სარეკორდო წინაოლიმპიური სტარტები

კოლომბი (საფრანგეთი), 11 ივლისი. (საკდესის კორ.). მსოფლიო რეკორდი, ორი შესწორება სსრ კავშირის უმაღლეს მიღწევათა ცხრილში და საფრანგეთის რეკორდი — ასეთია შედეგი ამ ორი ქვეყნის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ახლახან აქ დამთავრებული მატჩისა. სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 215:130 (ვაჟები—128:83, ქალები — 87:47). შეჯიბრებამ, რომელიც გრილ, უქარო ამინდში ჩატარდა, მრავალ ათას მაყურებელს მოუყარა თავი.

შეხვედრის გმირი იყო ლენინგრადელი ალექსანდრე ბარიშნიკოვი, რომელმაც პირველივე ცდაზე 22 მეტრზე ჰკრა ბირთვი. 27 წლის ათლეტმა, რომელიც ბირთვის კვრისას ორიგინალურ ხერხს — წრიულ ბრუნვას იყენებს, ევროპელ სპორტსმენთაგან პირველმა დაარღვია მძლეოსნობის ამ სახეობაში ჰეგემონია ამერიკელებისა, რომლებიც მსოფლიო რეკორდს 1934 წლიდან ფლობდნენ. ბარიშნიკოვმა სტადიონზე მსოფლიოში პირველმა ჰკრა ბირთვი 22 მეტრზე. მისი მიღწევა 15 სანტიმეტრით სჯობს ტერი ოლბრიტონის (აშშ) მსოფლიო რეკორდს.

მოსკოველი ლიდია ალფეევა 679 სმ სიგრძეზე გადახტა. მან 3 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე საკავშირო რეკორდი. „რეკორდის დამყარება მუდამ სასიხარულოა, — თქვა სპორტსმენმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში, — მაგრამ ახლა ჩემი ამოცანაა გადავხტე უფრო შორს. მხოლოდ ასე შეიძლება მონრეალში გამარჯვება"...

4×400 მეტრზე ესტაფეტაში სსრ კავშირის რეკორდები დაამყარეს რიგელმა ი. კლიმოვიჩმა, კიეველმა ლ. აქსიონოვამ, მოსკოველებმა ნ. სოკოლოვამ და ნ. ილინამ — 3.25,0.

საუცხოო შედეგი აღნუსხეს მსაჯებმა 800 მეტრზე რბენაში: ლენინგრადელმა ტ. კაზანკინამ ფინიშამდე მისვლას 1.56,6 მოანდომა. მეორე იყო მოსკოველი ს. სტირკინა — 1.57,4. ლენინგრადელმა ნ. გორბაჩოვამ ღირსეულად შეცვალა მსოფლიო რეკორდსმენი ფ. მელნიკი, რომელიც ამჯერად შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა, და ბადრო 66 მეტრზე ტყორცნა (მეორე შედეგი საბჭოთა მძლეოსნობის ისტორიაში). ს. ბუდალოვმა (მოსკოვის ოლქი) 222 სმ სიმაღლე გადალახა, ზაპოროჟიელმა ვ. ერშოვმა შუბი 83,52 მეტრზე ტყორცნა. მასპინძლებიდან გამოირჩეოდნენ ანი ბოკლი (მან შუბის მტყორცნელთა შორის II ადგილი დაიკავა, მაგრამ საფრანგეთის რეკორდი დაამყარა) — 52,92 მ, მსოფლიო რეკორდსმენი გი დრიუ, რომელმაც 110 მეტრზე თარჯრბენში 13,51 აჩვენა (მინსკელი ვ. მიასნიკოვის შედეგია 13,68), ჟ. რუსო — 819 სმ სიგრძეზე ხტომაში (დონეცკელი ვ. პოდლუჟნის შედეგია 806 სმ).

„სსრ კავშირისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების მატჩი ბოლო სტარტია მონრეალის გზაზე, — აღნიშნა საბჭოთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ა. კომაროვმა, — იგი კარგი გამოცდა იყო ოლიმპიური თამაშების წინ". „ფრანგი მაყურებლისთვის ეს შეჯიბრება მძლეოსნობის ნამდვილი დღესასწაული იყო", — აღნიშნა საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჟ. დებრეიმ.

შუბი მიფრინავს 70 მეტრისკენ

ბერლინი, 11 ივლისი. (საკდესი). მსოფლიო რეკორდსმენმა შუბის მტყორცნელ ქალთა შორის რუთ ფუქსმა (გდრ) 69 მეტრი და 12 სანტიმეტრი დაძლია. მან თითქმის 2 მეტრით გააუმჯობესა 1974 წელს დამყარებული თავისივე მიღწევა. სპორტსმენმა სარეკორდო შედეგი გდრ-ის მძლეოსანთა წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში აჩვენა.

სამი დღის შემდეგ რუთს 30 წელი შეუსრულდება. შუბის ტყორცნაში ვარჯიში მან შედარებით გვიან, 16 წლისამ დაიწყო. პირველი დიდი წარმატება 1971 წელს მოიპოვა ჰელსინკში გამართულ ევროპის ჩემპიონატში, სადაც ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ერთი წლის შემდეგ რუთმა ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა და მას შემდეგ აგერ უკვე მეხუთე სეზონია სათავეში უდგას უძლიერესთა სიას.

წლეულს ფუქსი ერთხანს აგებდა თანამემამულე საბინა ზებროვსკაიასთან შეჯიბრებაში და შედეგებით ჩამორჩებოდა ამერიკელ კეტი შმიდტს, მაგრამ მისი ახალი მიღწევა მოწმობს, რომ სპორტსმენი სერიოზულად ემზადება ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის დასაცავად.



საგზურები განაწილდა

მანილაში დამთავრდა ფიდე-ს საზონათაშორისო ტურნირი. დიდ ინტერესს იწვევდა დასკვნითი, XIX ტურის შეხვედრები, რომლებსაც პრეტენდენტები უნდა დაესახელებინა.

პრეტენდენტთა მატჩების სამი საგზურის მთავარმა პრეტენდენტებმა შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს. ვ. მეკინგი (ბრაზილია) დაუზავდა ე. ტორეს (ფილიპინები), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — ზ. რიბლის (უნგრეთი) და ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი) — ლ. კავალეკს (აშშ). იმავე დღეს საგზური მხოლოდ ბრაზილიელმა დიდოსტატმა მოიპოვა. მან 13 ქულით I ადგილი დაიკავა. ჰორტისა და პოლუგაევსკის დაწევა, რომელთაც 12,5-12,5 ქულა დაუგროვდათ, შეეძლო ვ. ცეშკოვსკის (სსრ კავშირი), ოღონდ მას აუცილებლად უნდა მოეგო ლ. პახმანთან (გფრ) გადადებული პარტია. მაგრამ მეორე დღეს ეს შეხვედრაც ყაიმით დამთავრდა და ცეშკოვსკის მხოლოდ 12 ქულა დაუგროვდა.

ამრიგად, გაისად პრეტენდენტთა მატჩებში ითამაშებენ მეკინგი, ჰორტი და პოლუგაევსკი. თუ მეკინგი და პოლუგაევსკი მონაწილეობდნენ მსოფლიო პირველობის წინა ციკლის მსგავს შეჯიბრებაში (მეკინგი დამარცხდა ვ. კორჩნოისთან, პოლუგაევსკი — ა. კარპოვთან), ჰორტი პირველად ჩაებმება პრეტენდენტთა ბრძოლაში.

პირველი სვლები გაკეთდა

შვეიცარიის ქალაქ ბილში სტარტი აიღო ვაჟთა მსოფლიო პირველობის მეორე საზონათაშორისო ტურნირმა. შეჯიბრების ოც მონაწილეს შორის არიან საბჭოთა მოჭადრაკეებიც — მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ტ. პეტროსიანი, ვ. სმისლოვი, მ. ტალი, დიდოსტატები ე. გელერი და ბ. გულკო.

I ტურში პეტროსიანმა მოუგო რ. სანგინეტის (არგენტინა), ხოლო ტალი დაუზავდა ი. ჩომს (უნგრეთი).

დაუმთავრებელ შეხვედრათა შორის არის გულკო — გელერისა და კ. როგოფ (აშშ) — სმისლოვის პარტიებიც.

მედალი „შრომითი წარჩინებისთვის" — ფრიალოსან სტუდენტს

სწავლასა და შრომაში სანიმუშო

სპორტსმენთა სამჭედლო — ასე უწოდებენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტს, რომელსაც ბევრი სახელოვანი სპორტსმენი აღუზრდია.

სტუდენტები სწავლასთან ერთად ფართოდ არიან ჩაბმული შრომით საქმიანობაში. მესამე შრომით სემესტრში ისინი თბილისის ონკოლოგიური საავადმყოფოს, ხეთის მეფრინველეობის ფაბრიკის, ვოლოგდის ერთ-ერთი დიდი საწარმოს და სხვა მშენებლობებზე მუშაობენ.

ფიზკულტურის ინსტიტუტში სპორტის სიყვარულმა მოიყვანა ალექსანდრე ცხოვრებაძე. ენერგიულმა ჭაბუკმა, მალე მიიპყრო პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. იგი აირჩიეს ჯერ კურსის კომკავშირის ბიუროს წევრად, ხოლო შემდეგ — ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს შემადგენლობაში. ალექსანდრე პირნათლად ასრულებს ყოველგვარ დავალებას. იგი 1974 წლის მესამე შრომითი სემესტრის მონაწილეა, რისთვისაც კომკავშირის კომიტეტმა სიგელით დააჯილდოვა. IX ხუთწლედის დამამთავრებელი წლის შრომით სემესტრში კი, რომელიც პარტიის XXV ყრილობას მიეძღვნა, წარჩინებული შრომისთვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული ფაკულტეტის III კურსის ფრიალოსანი სტუდენტი ალექსანდრე ცხოვრებაძე დააჯილდოვა მედლით „შრომითი წარჩინებისთვის" და სიგელით.

ვუსურვოთ ა. ცხოვრებაძეს შემდგომი წარმატებები სპორტში, სწავლასა და შრომაში.

გ. ნადირაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული ფაკულტეტის დეკანი.

* * *

სურათზე: ა. ცხოვრებაძე.

დავლაშქრავთ ახალ ზღუდეებს...

ფიზკულტურის კოლექტივებში

სოხუმის სპორტკომიტეტის ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთ მოწინავედ გ. კომაროვის სახელობის მე-19 რუსულ-ქართული საშუალო სკოლა (დირექტორი ლ. არგუნი) დაგვისახელეს და ჩვენც ამ სკოლას მივაშურეთ.

სკოლის ეზოში ბავშვების ჟრიამული იდგა. ფრენბურთის მოედნის ორივე მხარეს სპორტულ ფორმებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები გამწკრივებულიყვნენ. მოედნის ცენტრში ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი, წარსულში თბილისის „დინამოს“, „ლოკომოტივისა“ და სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების მოთამაშე იური უსტაბაშიძე იდგა და შეჯიბრების მონაწილე გუნდების წევრებს სტარტზე უხმობდა. აქვე იყვნენ ფიზკულტურის მასწავლებლები ვლადიმერ მარდოიანი და სვეტლანა ნარმანია.

— „მხიარული სტარტების“ ფინალურ შეხვედრებს ვატარებთ პარალელურ ჯგუფებს შორის, — გვითხრა იურიმ, როცა რბენაში შეჯიბრება დამთავრდა. დღეს მეშვიდეკლასელები ეჯიბრებიან ერთმანეთს. ამ დღეებში კი უფრო მაღალი კლასების მოსწავლეები გამოვლენ სარბიელზე. თამაშების პროგრამაში სულ ხუთი სახეობა შედის. რბენაში შეჯიბრებას ეზოში ვატარებთ, დანარჩენ სახეობებს კი სპორტდარბაზში.

ასპარეზობის მონაწილეებთან და მაყურებლებთან ერთად სპორტულ დარბაზში გადავინაცვლეთ: ჩვენი ყურადღება ერთმა ტანმორჩილმა ბიჭუნამ მიიქცია.

— ეს ჩვენი სპორტის ოსტატობის კანდიდატია ბატუტზე ხტომაში, ფემი დიამანტიდი, — გვითხრა ს. ნარმანიამ.

— სხვათა შორის, ჩვენს სკოლაში აღიზარდნენ ამჟამად ცსკა-სა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების წევრი ფრენბურთში ვლადიმერ დოროხოვი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ძალოსნობაში მოსწავლეთა, ხოლო შემდგომ ჭაბუკთა შორის, ოლეგ კარაიანიდი, — ჩაერია ჩვენს საუბარში ვ. მარდოიანი.

...ი. უსტაბაშიძე ამ სკოლაში სამიოდე წლის წინათ მოვიდა სამუშაოდ. მას შემდეგ წარმატებებმა საგრძნობლად იმატა. 1974 წელს იურის მოწაფეებმა საქალაქო სპარტაკიადაში საერთო გუნდური III ადგილი დაიკავეს, ხოლო 1975 წელს კი ერთი საფეხურით წინ წავიდნენ. გასულ წელსვე ჩატარდა აფხაზეთის თასის გათამაშება მოსწავლეთა შორის ტურისტულ მრავალჭიდში. ამ შეჯიბრებაში მე-19 სკოლის სპორტსმენებმა, რომლებიც სარბიელზე სოხუმის ნაკრების სახელით გამოვიდნენ, 8 გუნდში I ადგილი დაიკავეს და თასი მოიპოვეს, შარშანვე კომკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მიერ სასწავლო წლის დაწყების პირველ კვირას მოწყობილ მძლეოსნურ ესტაფეტაში „გამარჯობა, სკოლავ!“ მათ ყველას აჯობეს ქალაქის საშუალო სკოლებს შორის.

წლეულს მეცხრამეტესკოლელები წარმატებით გამოვიდნენ მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადაშიც — 21 კოლექტივს შორის საერთო გუნდური I ადგილი დაიკავეს და გარდამავალი თასი დაიმსახურეს. სპარტაკიადის მონაწილეები დაყოფილი იყვნენ უფროს და უმცროს ასაკობრივ ჯგუფებად. ორივე ჯგუფის შედეგები იძლეოდა ჩასათვლელ ქულებს საერთო გუნდური პირველობისთვის, მე-19 სკოლის სპორტსმენებმა ორივე ასაკობრივ ჯგუფში პირველობა მოიპოვეს მძლეოსნობაში. სპორტულ ტანვარჯიშში — II ადგილებს დასჯერდნენ, ცურვაში უმცროს ასაკობრივ ჯგუფში — II, ხოლო უფროსთა შორის IV ადგილები დაიკავეს, ტყვიის სროლაში კი ორივე ჯგუფში IV ადგილებზე გავიდნენ. პირად პირველობაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ 100 მეტრზე რბენაში — ოლგა ვიქტოროვა, სიგრძეზე ხტომაში — ლიუდმილა ემხვარი, სიმაღლეზე ხტომაში — ლიზა კიშმიშიანი, ბირთვის კვრაში — ანატოლი კუსი, 100 მეტრზე რბენაში — კონსტანტინე ჩარჩხალია, 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — გია გოგოლაშვილი, სპორტულ ტანვარჯიშში — I კლასის მოსწავლე მიშა ჩანტლაძე. ოლგა ფილიუშკინამ კი I-II ადგილები გაიყო ტყვიის სროლაში. ვიქტოროვა, ემხვარი, კიშმიშიანი და კუსი აფხაზეთის ჩემპიონებიც გახდნენ და აფხაზეთის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში ჩაირიცხნენ.

გარდა ზემოთ დასახელებული სპორტსმენებისა, საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ სპორტის ოსტატს აკრობატიკაში, საქართველოს ჩემპიონს როგორც მოსწავლეთა, ისე უფროსთა შორის, მეცხრეკლასელ მარინე ტყებუჩავას, აფხაზეთის ჩემპიონებს აკრობატიკაში მოსწავლეთა შორის, დებს ლიუდმილა და სვეტლანა მარქარიანებს, სპორტის ოსტატობის კანდიდატს მხატვრულ ტანვარჯიშში, აფხაზეთისა და საქართველოს ჩემპიონს მოსწავლეთა შორის გუნდურ ჩათვლაში ირინე გელაშვილს, სპორტის ოსტატობის კანდიდატს ბატუტზე ხტომაში, აფხაზეთის ჩემპიონს მოსწავლეთა შორის ფემი დიამანტიდს, აფხაზეთის ჩემპიონს აფროსნობაში როგორც მოსწავლეთა, ისე მოზრდილთა შორის ალექსანდრე ლუგოვს, აფხაზეთის ჩემპიონს ფარიკაობაში მოსწავლეთა შორის ოლგა კოლოსოვას.

აღსანიშნავია ისიც, რომ მ. ტყებუჩავა და ო. ვიქტოროვა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის წევრები არიან.

წარმატებათა საწინდარია მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმა სპორტულ ცხოვრებაში. ხშირად ტარდება შიდასაკოლექტივო სპარტაკიადები, სხვადასხვა სახის შეჯიბრებები, როგორიცაა მაგალითად, იმედისა და „მხიარული სტარტები“ და სხვ. სკოლაში ნაყოფიერად მუშაობს შვიდი სპორტული სექცია, რომლებშიც 150 მოსწავლეა გაერთიანებული. ამდენივე მოსწავლე ქალაქის სპორტულ ბაზებზე იმაღლებს სპორტული ოსტატობის დონეს.

შარშან სკოლაში მომზადდა ერთი სპორტის ოსტატობის კანდიდატი, რასაც გეგმა არ ითვალისწინებდა, 75 მასობრივი თანრიგის სპორტსმენი და მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, რომელთაგანაც ექვსმა ოქროს სამკერდე ნიშანი დაიმსახურა.

წლეულს სპორტული მაჩვენებლები ბევრად უფრო მაღალია. უკვე მომზადდა ერთი სპორტის ოსტატი, ორ-ორი სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, თუმცა გეგმით ეს გათვალისწინებული არ იყო, 8 მეორეთანრიგოსანი, 80 მასობრივი თანრიგის სპორტსმენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60-სა. მშდ კომპლექსის ნორმატივები 80-ის ნაცვლად უკვე ჩააბარა 120-მა მოსწავლემ, აქედან რვამ ოქროს სამკერდე ნიშანი დაიმსახურა.

სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა ტურიზმის განვითარებას. 1974 წლის შემოდგომაზე მოეწყო მრავალდღიანი ტურისტული ლაშქრობა სანჭის გადასასვლელზე, სადაც დიდი სამამულო ომის დღეებში ცხარე ბრძოლები იყო გაჩაღებული. ლაშქრობის მონაწილეებმა გადასასვლელზე აიტანეს მემორიალური დაფა წარწერით: „ომში დაღუპულ გმირებს სოხუმის ვ. მ. კომაროვის სახელობის მე-19 საშუალო სკოლის მოსწავლეებისგან“.

ლაშქრობის მონაწილე თამაზ სურგულაძემ გადასასვლელზე ერთ-ერთი დიდი კოდის ძირში ორი ადამიანის ჩონჩხი შეამჩნია. მალე მოვიდნენ ლაშქრობის ხელმძღვანელი ი. უსტაბაშიძე და სხვა მოლაშქრეები. მათ გულდასმით დაათვალიერეს და შეამოწმეს იქაურობა. შემთხვევით ნაპოვნი მედალიონის მიხედვით დაადგინეს, რომ იმ ორიდან ერთი დიდ სამამულო ომში დაღუპული წითელი წყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის მკვიდრის ვანო ყოჩიაშვილის ნეშტი იყო.

მოსწავლეებმა ნეშტი სოხუმში ჩამოასვენეს და ამის შესახებ ყოჩიაშვილის ახლობლებს შეატყობინეს. გაკეთდა დიდი საქმე. უგზო-უკვლოდ დაკარგული ქართველი მეომრის ნეშტი მშობლიურ კუთხეს დაუბრუნეს. იგი დაკრძალეს ზემო მაჩხაანში, შინმოუსვლელთა პარკში, იმ ხის ძირას, რომელსაც ვანო ყოჩიაშვილის სახელი ჰქვია.

შარშან მე-19 სკოლის მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ მოინახულეს სანჭის მიდამოები. ეს ლაშქრობა მათ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების 30 წლისთავს მიუძღვნეს. წლეულს კი ისინი ქლუხორის ზეკარზე აპირებენ ლაშქრობის მოწყობას.

— ჩვენს წარმატებებს ისიც განაპირობებს, რომ სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი დიდ ყურადღებას აქცევენ სპორტის განვითარებას, — გვითხრა საუბრის დასასრულს ფიზკულტურის უფროსმა მასწავლებელმა, — როგორც ნახეთ, გვაქვს კარგად აღჭურვილი სპორტული დარბაზი გასახდელებით. სკოლის ეზოში მოწყობილია ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, სახტომი ორმოები, მძლეოსნური სექტორები, სარბენი ბილიკები, უზრუნველყოფილი ვართ ფორმებით. ერთი სიტყვით, ყოველგვარი პირობები გვაქვს სამუშაოდ და საწვრთნელად. ძალ-ღონეს არ დავიშურებთ სკოლის სპორტული ტრადიციების კიდევ უფრო გამდიდრებისთვის.

ვ. დანელია,
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.

ყურადღება: ვინდსერფერი!

საბჭოთა სპორტის მოყვარულებს ახალი გატაცება გაუჩნდათ: ვინდსერფერებით რბოლა. რა არის ვინდსერფერი? ესაა მინიატურული აფრიანი თხილამურები, სიგრძით 3 მეტრი და 65 სანტიმეტრი, სიგანით 65 სანტიმეტრი. დამზადებულია პენოპლასტის ან 100-120 მილიმეტრი სისქის პოლიეთილენის ქსოვილისგან. აფრები იკერება მსუბუქი, მაგარი ქსოვილისგან (სჯობს წყალგაუმტარი ლავსანი). ანძა დამაგრებულია ფუძეზე, რომელიც უნივერსალური სახსრის დახმარებით აბრუნებს მას თავისი ღერძის გარშემო და ნებისმიერ მხარეს დახრის საშუალებას აძლევს. ვინდსერფერს საჭე არა აქვს. მართვის ერთადერთი ხერხი აფრის წინ და უკან დახრაა. მოძრაობის დაწყებამდე აფრა წყალზეა დაფენილი ქარისგან დაცულ მხარეს. აფროსანი ფუძეზე დგება ქარისკენ ზურგით და ანძას წყლიდან იღებს. აფრა ქარით იბერება და ვინდსერფერი მოძრაობას იწყებს.

ვინდსერფერი სრულიად უხიფათოა. ქარში იგი საათში 25-30 კმ სისწრაფეს ავითარებს. მისი მართვის სწავლა რამდენიმე გაკვეთილზე შეიძლება, ოღონდ საჭიროა სპორტსმენს ჰქონდეს ქარის კარგი გრძნობა, საკმარისი ძალა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა კავშირში 280000-ზე მეტი ტბაა, უამრავი დიდი და პატარა მდინარეა, ვინდსერფერის პოპულარობა ნებისმიერი ასაკის ხალხში ეჭვს არ უნდა იწვევდეს. უდავოა, რომ ამ პოპულარობას ხელს შეუწყობს ვინდსერფერის სიიაფე, აგრეთვე, მცირე წონა — მისი გადატანა შეიძლება მატარებლით, ავტომანქანით. საკავშირო პროფსაბჭოს ლენინგრადის ვერფმა უკვე დაიწყო სამამულო ვინდსერფერების გამოშვება. საბჭოთა კავშირში უკვე ჩატარდა რამდენიმე საქალაქთაშორისო შეჯიბრება ვინდსერფერებით რბოლაში.

* * *

სურათზე: ვინდსერფერები რბოლის დისტანციაზე.

ვ. გალაქტიონოვის ფოტო.

...რათა მუდამ დღესასწაული იყოს

მეტი ყურადღება და პასუხისმგებლობა ბავშვებთან მუშაობას — ძირითადად ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება ამას წინათ გამართულმა ჩოგბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმმა.

ღმერთმა ქნას, მეტრეველი და კაკულია კიდევ მრავალ წელს იდგნენ საბჭოთა ჩოგბურთის ავანგარდში და წარმატებით იცავდნენ ქვეყნის ღირსებას დევისის თასის გათამაშებებსა თუ სხვადასხვა საპასუხისმგებლო ტურნირებში. მართალია, დღითი დღე მაღლდება 17 წლის გია ელერდაშვილის ოსტატობის დონე, მაგრამ ჩვენისთანა მდიდარი საჩოგბურთო ტრადიციების მქონე რესპუბლიკისთვის ეს ძალიან ცოტაა.

სიტყვამ მოიტანა და გვინდა აღვნიშნოთ, რომ ელერდაშვილმა წარმატებით იასპარეზა ლვოვში გამართულ „იმედის ტურნირში“, რომლის შედეგების მიხედვითაც დაკომპლექტდა იუნიორთა საკავშირო ნაკრები გალეას თასის გათამაშებისთვის. საბჭოთა ქვეყნის ღირსებას შვეციაში გიაც სხვებთან ერთად დაიცავს.

...მეტი ყურადღება და პასუხისმგებლობა ბავშვებთან მუშაობას! დიახ, საჭიროა გავაძლიეროთ და უფრო ნაყოფიერი გავხადოთ ბავშვებთან მუშაობა, მაგრამ მარტო ეს არ მოგვცემს სასურველ შედეგს. ოსტატობის დონის ასამაღლებლად ინტენსიურ წვრთნასთან ერთად აუცილებელია შეჯიბრებებში მონაწილეობაც, მოწინავე სპორტსმენთა თამაშის შესწავლაც.

მაგრამ რა უნდა ესწავლათ ნორჩებს „დინამოს“ კორტებზე ჩატარებული რესპუბლიკური პირველობის ზოგიერთი მონაწილისგან?

ყოველი რესპუბლიკური ჩემპიონატი მთელი წლის მანძილზე გაწეული შრომის სარკეა, სადღესასწაულო მოვლენაა საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, საანგარიშო ტურნირი მხოლოდ ასპარეზობის საზეიმო გახსნითა და დახურვით მოგვაგონებდა დღესასწაულს.

მთელ რიგ შეხვედრებში იყო გაუთავებელი კამათი მსაჯებთან არასწორად ჩათვლილი ქულების გამო, ყოველი სადავო ბურთის შემდეგ დემონსტრაციულად ხელების გაშლა, იმ ადგილის ჩვენება, სადაც ბურთი შეეხო მოედანს, ჩოგნის სიბრაზით გადაგდება და სხვა.

ძალზე სამწუხაროა, რომ „ჯენტლმენური“ ჩოგბურთი ხშირად საზღვარგადაცილებული ემოციების სახეობად იქცა. უხეშობა და მსაჯთან შეკამათება არავის ეპატიება. მით უმეტეს საუკეთესო ოსტატებს. მით უფრო მიუტევებელია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ა. ივანოვას გამომწვევი ქცევა მოედანზე. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ივანოვა უპატივცემულოდ ექცევა მეტოქეებს და მსაჯებს.

ვერც მსაჯობა იდგა სათანადო დონეზე — შეჯიბრებას აშკარად ეტყობოდა მაღალკვალიფიციური არბიტრების ნაკლებობა. საწყენია, რომ მსაჯობას თავი აარიდა საკავშირო თუ რესპუბლიკური კატეგორიების ბევრმა არბიტრმა.

ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ორთაბრძოლებს თამაშისგან თავისუფალი მონაწილეები სჯიდნენ, ხანდახან მათ ანდობდნენ ფინალური შეხვედრების მსაჯობასაც, სადაც ყოველ ქულას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა. ესეც მონაწილეთა ზომაზე მეტად ნერვულობის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ სამარცხვინო ფაქტსაც: მთავარი მსაჯის შეურაცხყოფისთვის ასპარეზობიდან მოხსნეს... ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელი. ჩვენ აქ განგებ არ ვასახელებთ მის გვარს, რადგან სასჯელი საკმაოდ მიგვაჩნია. იმედი ვიქონიოთ, რომ მსგავსი ინციდენტები მომავალში აღარ მოხდება.

...რესპუბლიკის უძლიერესი ჩოგბურთელის წოდებისთვის ბრძოლაში ჩაება 64 სპორტსმენი თბილისიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, აჭარიდან, აფხაზეთიდან, მცხეთიდან და გარდაბნიდან.

გუნდური პირველობა, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელებმა მოიპოვეს. მათ მნიშვნელოვნად გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ აჭარის კოლექტივს. III ადგილზე აფხაზეთის სპორტსმენები დარჩნენ.

ქალთა ერთეულების გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ძველი მეტოქეები ნ. თუხარელი და ა. ივანოვა. მაყურებლები პრინციპული და საინტერესო ორთაბრძოლის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ ამაოდ: თუხარელმა პირველი პარტია ადვილად მოიგო — 6:1, მეორეში, როცა ანგარიში იყო 0:2, ივანოვა შეუძლოდ შეიქნა და ვეღარ შეძლო შეხვედრის გაგრძელება.

ამრიგად, საქართველოს ჩემპიონის სახელი მეორედ მოიპოვა ნინო თუხარელმა (მწვრთნელი — ს. თუხარელი).

III ადგილისთვის შეხვედრაში ნ. კეკელიამ დაამარცხა მ. ელერდაშვილი — 6:3 6:3.

ვაჟთა შორის შარშანდელმა ჩემპიონმა ვლადიმერ პერეგუდოვმა (მწვრთნელი გ. ღარიბაშვილი) შეინარჩუნა პირველი ჩოგნის წოდება. მან სამსაათნახევრიან ფინალურ მატჩში ასევე ვეტერან ოსტატს გ. ახალაძეს სძლია — 6:2, 6:2, 3:6, 4:6, 6:4.

ამ უაღრესად დაძაბულ ორთაბრძოლაში მეტოქეებმა მთელი თავიანთი შესაძლებლობები გამოავლინეს და არაერთხელ დაიმსახურეს მაყურებელთა მოწონება საინტერესო თამაშისთვის.

III ადგილზე გავიდა საქართველოს ექს-ჩემპიონი ვ. ოსიპოვი. მან ძალზე დაძაბული ბრძოლა მოუგო რესპუბლიკური უნივერსიადის ჩემპიონს გ. ბაკშის — 2:6, 6:3, 5:7, 6:3, 8:6.

ბოლოს გაგაცნობთ წყვილთა ასპარეზობის შედეგებს:

ქალთა წყვილები: 1. მ. ელერდაშვილი — ა. ივანოვა, 2. ნ. თუხარელი — ხ. კეკელია, 3. ვ. გოგუა — ტ. პერეგუდოვა (ყველა — თბილისი).

ვაჟთა წყვილები: 1. გ. ახალაძე — ვ. ოსიპოვი, 2. ვ. პერეგუდოვი (სამივე — თბილისი) — ა. გეგეჭკორი (აფხაზეთი), 3. გ. ეგნატაშვილი — ს. ხაჩატურიანი (ორივე — თბილისი).

შერეული წყვილები: 1. თუხარელი — ახალაძე, 2. ივანოვა — პერეგუდოვი, 3. ელერდაშვილი — ბაკში.

ზ. ახალაძე.

რამდენიმე სტრიქონით

ცხინვალი

ადგილობრივ ფეხბურთის მოყვარულთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის დინამოელთა ამხანაგურმა შეხვედრამ ცხინვალის „სპარტაკთან“.

დინამოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:2. ბურთები გაიტანეს გ. მაჩაიძემ, მ. მაჩაიძემ, დარასელიამ და ჩელებაძემ (2), ხოლო მასპინძელთაგან — ძაგოევმა (2).

ვ. მელქოევი.

მონრეალში — ინტერნაციონალური ოჯახით

კიდევ რამდენიმე დღე და მონრეალის სარბიელზე დაიწყება უმძაფრესი სპორტული ბრძოლები XXI ოლიმპიური თამაშების ჯილდოებისთვის. სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში ბევრი ცნობილი სპორტსმენია — სხვადასხვა მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლები, სხვადასხვა ეროვნების შვილები.

საბჭოთა დელეგაციიდან ოლიმპიურ ფიცარნაგზე პირველი გამოვა ყველაზე მსუბუქი წონის ძალოსანი, მსოფლიო ჩემპიონი ა. ვორონინი. ოლიმპიადის გახსნის მეორე დღესვე ის ოლიმპიური ჯილდოსთვის იბრძოლებს უმჩატეს წონით კატეგორიაში. მაღალი შედეგებისთვის ემზადება მსოფლიო რეკორდსმენი 800-მეტრიან დისტანციაზე რბენაში ვ. გერასიმოვა. კარგად არიან მომზადებული მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი მშვილდოსნობაში ზ. რუსტამოვა, ტანმოვარჯიშეები ს. გროზდოვა, პ. შამუგია და სხვა ცნობილი სპორტსმენები. გამარჯვებას და მედლებს ველით თქვენგან, საბჭოთა ოლიმპიელებო!

სურათებზე: ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონები სპორტულ ტანვარჯიშში ს. გროზდოვა და პ. შამუგია; მსოფლიოს რეკორდსმენი 800 მეტრზე რბენაში ვ. გერასიმოვა; მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი ძალოსნობაში ა. ვორონინი (მარცხნივ) თავის მწვრთნელთან, ოლიმპიურ ჩემპიონ რ. პლიუკფელდერთან ერთად; მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი მშვილდოსნობაში ზ. რუსტამოვა.

ვ. გალაქტიონოვის ფოტოები.

წარმოგიდგენთ ოლიმპიურ სახეობას

მძლეოსნობა

23 ივლისი. სიგრძეზე ხტომა (ქალები), სპორტული სიარული 20 კმ (ვაჟები). დასაწყისი — 15 ს. 30 წ.

24 ივლისი. შუბის ტყორცნა (ქალები), ბირთვის კვრა (ვაჟები), რბენა 100 მ (ვაჟები). 15 ს.

25 ივლისი. ბადროს ტყორცნა (ვაჟები), რბენა 800 მ (ვაჟები), თარჯრბენი 400 მ (ვაჟები), რბენა 100 მ (ქალები). 15 ს.

26 ივლისი. ჭოკით ხტომა (ვაჟები), შუბის ტყორცნა (ვაჟები), რბენა 200 მ (ვაჟები), რბენა 10000 მ (ვაჟები), ხუთჭიდი (ქალები), რბენა 800 მ (ქალები). 12 ს. 30 წ.

27 ივლისი — დასვენების დღე.

28 ივლისი. უროს ტყორცნა (ვაჟები), სიმაღლეზე ხტომა (ქალები), თარჯრბენი 110 მ (ვაჟები), რბენა 200 მ (ქალები), რბენა 3000 მ დაბრკოლებებით (ვაჟები). 14 ს.

29 ივლისი. თარჯრბენი 100 მ (ქალები), სიგრძეზე ხტომა (ვაჟები), ბადროს ტყორცნა (ქალები), რბენა 400 მ (ვაჟები), რბენა 400 მ (ქალები), 15 ს.

30 ივლისი. ათჭიდი (ვაჟები), სამხტომი (ვაჟები), რბენა 1500 მ (ქალები), რბენა 5000 მ (ვაჟები). 14 ს.

31 ივლისი. ხტომა სიმაღლეზე (ვაჟები), მარათონული რბენა (ვაჟები), ბირთვის კვრა (ქალები), რბენა 1500 მ (ვაჟები), ესტაფეტა 4×100 მ (ქალები), ესტაფეტა 4×100 მ (ვაჟები), ესტაფეტა 4×400 მ (ქალები), ესტაფეტა 4×400 მ (ვაჟები). 16 ს. 30 წ.

შენიშვნა: კალენდარში აღნიშნულია მხოლოდ ფინალური შეჯიბრებები.

მძლეოსანთა ოლიმპიური პროგრამა მოიცავს ვაჟთა შეჯიბრებებს 23 სახეობაში და ქალთა შეჯიბრებებს 14 სახეობაში. სულ მონრეალში გათამაშდება 37 ოქროს მედალი.

ოლიმპიური მძლეოსნობის ისტორიაში ყველაზე დიდი წარმატება მოპოვებული აქვთ აშშ-ს სპორტსმენებს. ამ ქვეყნის ვაჟები 185 ოქროს მედლის მფლობელნი არიან, ხოლო ქალები — 19-სა. სსრ კავშირის სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში 1952 წლიდან მონაწილეობენ, ამიტომ ცხადია, მათი მაჩვენებლები უფრო მოკრძალებულია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამერიკელ მძლეოსნებს „ოქროს მარაგის" სამი მეოთხედი დაგროვილი აქვთ სწორედ 1952 წლამდე. მერე კი, როცა გაძლიერდა კონკურენცია სოციალისტური ქვეყნების მხრიდან, ამერიკელ მძლეოსანთა წარმატებებმა მკვეთრად იკლო.

ვაჟები. 100 მ. 1972 წ. ოქროს მედალი მოიგო ვ. ბორზოვმა (სსრ კავშირი).

200 მ. მიუნჰენში ამ სახეობაშიც ვ. ბორზოვი იყო პირველი.

400 მ. 1972 წ. გაიმარჯვა ვ. მეტიუზმა (აშშ).

800 მ. მიუნჰენში ჩემპიონი იყო დ. უოტლი (აშშ).

1500 მ. 1972 წ. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია პ. ვასალა (ფინეთი).

5000 მ. 1956 წ. მელბურნში ოქროს მედალი მოიგო შესანიშნავმა საბჭოთა სტაიერმა ვ. კუცმა. 1972 წ. ჩემპიონი იყო ლ. ვირენი (ფინეთი).

10000 მ. ვ. კუცმა მელბურნში მეორე ოქროს მედალიც მოიგო. 1960 წ. რომში ჩემპიონი გახდა პ. ბოლოტნიკოვი (სსრ კავშირი). მიუნჰენში უძლიერესი იყო ლ. ვირენი (ფინეთი).

მარათონი. ორჯერ ზედიზედ (1960, 1964) ოქროს მედალი მოიგო ეთიოპიელმა ა. ბიკილამ. 1972 წელს ჩემპიონი იყო ფ. შორტერი (აშშ).

110 მ. თარჯ. მიუნჰენში ჩემპიონი გახდა რ. მილბერნი (აშშ).

400 მ. თარჯ. ბოლო ოლიმპიადაში გაიმარჯვა დ. აკიი-ბუამ (უგანდა).

3000 მ. 1972 წელს ჩემპიონობა მოიპოვა კ. ჰვინომ (კენია).

4×100 მ. მიუნჰენში უძლიერესი იყო აშშ-ს გუნდი.

4×400 მ. 1972 წელს ყველას აჯობა კენიის კვარტეტმა.

20 კმ სიარული. 1960 წელს ჩემპიონი გახდა ლ. სპირინი (სსრ კავშირი). ოთხი წლის შემდეგ ოქროს მედალი მიიღო ვ. გოლუბნიჩიმ, რომელმაც ეს წარმატება მეხიკოშიც (1968) გაიმეორა. 1972 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა პ. ფრენკელი (გდრ).

სიმაღლე. 1960 წელს რომში ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო რ. შავლაყაძემ (სსრ კავშირი). ოთხი წლის შემდეგ ეს წარმატება ვ. ბრუმელმა (სსრ კავშირი) გაიმეორა, ხოლო 1972 წელს ჩემპიონი ი. ტარმაკი (სსრ კავშირი) გახდა.

სიგრძე. მიუნჰენში ჩემპიონი იყო რ. უილიამსი (აშშ).

ჭოკი. 1972 წელს ოლიმპიური ჩემპიონი იყო ვ. ნორდვიგი (გდრ).

სამხტომი. ბოლო ორ (1968, 1972) ოლიმპიურ თამაშებში ტოლი არა ჰყავდა ვ. სანეევს (სსრ კავშირი).

ბირთვი. მიუნჰენში ჩემპიონი გახდა ვ. კომარი (პოლონეთი).

ბადრო. 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონია ლ. დანეკი (ჩეხოსლოვაკია).

შუბი. 1960 წლის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ვ. ციბულენკო (სსრ კავშირი), 1968 წლისა — ი. ლუსისი (სსრ კავშირი), 1972 წლისა — კ. ვოლფერანი (გფრ).

ურო. რომის ოლიმპიადა მოიგო ვ. რუდენკოვმა (სსრ კავშირი), 1964 წელს პირველი იყო რ. კლიმი (სსრ კავშირი). მიუნჰენში ოქროს მედალი ხვდა ა. ბონდარჩუკს (სსრ კავშირი).

ათჭიდი. მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონია ნ. ავილოვი (სსრ კავშირი).

ქალები. 100 და 200 მეტრზე რბენა მიუნჰენში მოიგო რ. შტეკერმა (გდრ).

400 მ. მიუნჰენში ამ დისტანციაზეც უძლიერესი იყო გდრ-ის წარმომადგენელი მ. ცერტი.

800 მ. 1960 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ლ. შევცოვა (სსრ კავშირი). მიუნჰენში ოქროს მედალი ჰ. ფალკს (გდრ) ერგო.

1500 მ. შეჯიბრება ამ სახეობაში პირველად 1972 წელს ჩატარდა. ჩემპიონი გახდა ლ. ბრაგინა (სსრ კავშირი).

100 მ. თარჯ. 1960 წელს ჩემპიონი იყო ი. პრესი (სსრ კავშირი). მიუნჰენში ოქროს მედალი ა. ერჰარდმა (გდრ) მოიგო.

4× 100 მ. ბოლო ოლიმპიადის ჩემპიონია გფრ-ის გუნდი.

4×400 მ. ამ ესტაფეტაში უძლიერესი იყო გდრ-ის კვარტეტი.

სიგრძე. 1960 წელს ჩემპიონი გახდა ვ. კრეპკინა (სსრ კავშირი). 1972 წელს ოქროს მედალი მიიღო ჰ. როზენდალმა (გფრ).

სიმაღლე. ოქროს მედალი მიუნჰენში მიიღო უ. მეიფარტმა (გფრ).

ბადრო. 1952 წელს ჩემპიონი გახდა ნ. პონომარიოვა-რომაშკოვა (სსრ კავშირი), რომელმაც ეს წარმატება 1960 წელსაც გაიმეორა. 1964 წელს ოლიმპიური ოქროს მედალი თ. პრესმა (სსრ კავშირი) მიიღო, 1972 წელს — ფ. მელნიკმა (სსრ კავშირი).

ბირთვი. 1952 წლიდან სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ზედიზედ ოთხჯერ. მოიგეს უმაღლესი ოლიმპიური ჯილდო — გ. ზიბინამ, თ. ტიშკევიჩმა, თ. პრესმა (ორჯერ). 1972 წელს ოქროს მედალი მიიღო ნ. ჩიჟოვამ (სსრ კავშირი).

შუბი. 1956 წელს ოლიმპიური ოქროს ჯილდო დაიმსახურა ი. იაუნზემემ (სსრ კავშირი), 1960 წელს — ე. ოზოლინამ (სსრ კავშირი). 1972 წელს ჩემპიონი გახდა რ. ფუქსი (გდრ).

ხუთჭიდი. პირველი ოლიმპიური ჩემპიონია (ამ სახეობაში შეჯიბრებები ტარდება 1964 წლიდან) ი. პრესი (სსრ კავშირი). 1972 წელს ოქროს მედალი მ. პიტერსმა (დიდი ბრიტანეთი) მოიგო.

სსრ კავშირის
XXXVIII
საფეხბურთო
ჩემპიონატი

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

9 ივლისის მატჩში გროზნოს „თერგთან" ქუთაისის „ტორპედომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, კოსტავა, სულაქველიძე, ხურცილავა, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, ქვირია, ბურკაძე, ხერხაძე, შელია.

ქუთაისელთაგან ბურთები გაიტანეს ხერხაძემ და შელიამ. გაფრთხილება მიიღო ხერხაძემ.

II ლიგა I ზონა

11 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები I ზონაში: „ზვეინიეკსი" (ლიეპაია) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:0, „ატლანტასი" (კლაიპედა) — „დილა" (გორი) 1:0, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 8:2, „ხიმიკი" (გროდნო) — „პროგრესი" (კიროვაბადი) 2:0, „დინამო" (ბრესტი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 2:0, „სპერანცა" (დროკია) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:0, „დვინა" (ვიტებსკი) — „დინამო" (ბათუმი) 2:0, „დნეპრი" (მოგილიოვი) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:2, „მაშინოსტროიტელი" (გომელი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:1.

გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 18 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია"	19	11	5	3	31—12	27
„ჟალგირისი"	19	11	2	6	39—15	24
„დინამო" ბრ.	19	10	4	5	27—16	24
„დილა"	19	11	2	6	28—18	24
„დინამო" ბთ.	19	9	4	6	22—16	22
„დინამო" ზ.	19	10	2	7	20—23	22
„ატლანტასი"	19	9	3	7	22—19	21
„შირაკი"	19	8	4	7	29—23	20
„პროგრესი"	19	7	6	6	19—27	20
„დვინა"	19	7	5	7	17—17	19
„მაშინოსტრ".	20	7	5	8	18—23	19
„ხიმიკი"	19	7	4	8	19—14	18
„ავტომობ."	18	6	6	6	15—12	18
ფიზკ. ინსტ.	19	6	6	7	17—21	18
„მაღაროელი"	19	8	2	9	15—25	18
„ზვეინიეკსი"	19	7	2	10	16—24	16
„ლოკომოტ."	19	7	2	10	20—32	16
„სპერანცა"	19	4	6	9	13—16	14
„მეტალურგი"	19	4	2	13	12—28	10
„დნეპრი"	19	3	4	12	12—30	10

დღეს ფინალია

კიშინიოვი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ფეხბურთელთა გუნდების აქ მიმდინარე საკავშირო ფინალურ ტურნირში საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის კოლექტივმა მორიგი მატჩები მოუგო მელიტოპოლისა (1:0) და ცელინოგრადის (2:0) სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გუნდებს.

დღეს აქ შედგება გადამწყვეტი შეხვედრა ჩემპიონის წოდებისთვის. საქართველოს წარგზავნილთა მეტოქეა კიშინიოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი.

2:2

ვაშინგტონი, 12 ივლისი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა მონრეალისთვის სამზადისის პროგრამით აშშ-ს დედაქალაქში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონთან, მიონჰენგლადბახის „ბორუსიასთან".

30-გრადუსიანი სიცხის მიუხედავად თამაში სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა. ანგარიში 54-ე წუთზე გახსნა „ბორუსიის" დებიუტანტმა ჰაიდენრაიხმა, 2 წუთის შემდეგ კი ონიშჩენკომ საპასუხო ბურთი გაიტანა. მე-80 წუთზე ბლოხინმა დააწინაურა სსრ კავშირის ნაკრები, მაგრამ „ბორუსიამ" შეძლო თავი დაეღწია დამარცხებისთვის — ბურთი გაიტანა ფოგტსმა — 2:2.

სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ასტაპოვსკი (პროხოროვი), ზვიაგინცევი, მატვიენკო, ფომენკო (კონკოვი), რეშკო, ტროშკინი, ბურიაკი, მინაევი, ყიფიანი (ონიშჩენკო), ნაზარენკო (ვერემეევი), ფიოდოროვი (ბლოხინი).

„პარტიზანი" — კიეველთა მეტოქე

ბელგრადი, 12 ივლისი. იუგოსლავიის ჩემპიონატი ფეხბურთში მოიგო ბელგრადის „პარტიზანმა", რომელმაც ბოლო ტურში ლიუბლიანაში დაამარცხა „ოლიმპია" — 1:0. „პარტიზანის" მთავარმა მეტოქემ — სპლიტის „ჰაიდუკმა" ბელგრადში მხოლოდ ფრეს მიაღწია ოფკ-სთან — 1:1.

ამრიგად, კიევის „დინამოს" მეტოქე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე იქნება ბელგრადის „პარტიზანი".

ჩოგბურთის ამბები

ისტბორნი. ინგლისის ნაკრებმა ანგარიშით 4:1 მოუგო საფრანგეთის გუნდს და გავიდა ჩოგბურთელთა არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატის — დევისის თასის გათამაშების ევროპის „გ" ზონის ფინალში. თასის გათამაშების შემდეგ მატჩს ინგლისელები ლონდონში, უიმბლდონის კორტებზე ჩაატარებენ 5-7 აგვისტოს მეორე ნახევარფინალურ მატჩში იტალიისა და შვეციის ჩოგბურთელთა შორის გამარჯვებულთან (შეხვედრა ერთი კვირის შემდეგ მოეწყობა).

მერთლ-ბიჩი (აშშ). 29 წლის რუმინელმა სპორტსმენმა ილიე ნასტასემ ყველას აჯობა აქ მსოფლიოს ოთხი უძლიერესი ჩოგბურთელის ტურნირში (შვედი ბიერნ ბორგის მაგიერ მონაწილეობდა ამერიკელი არტურ ეში). ფინალში ნასტასემ მოუგო ესპანელ მანუელ ორანტესს — 6:4, 6:3, ნახევარფინალში კი დაამარცხა ჯიმი კონორსი (აშშ) — 0:6, 6:4, 7:5. III ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ კონორსი და ეში. გაიმარჯვა კონორსმა — 6:4, 7:6.

სტოკჰოლმი. 26 წლის იტალიელმა ანტონიო ზუგარელიმ თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე პირველად მოიპოვა დიდი წარმატება, როცა ჩოგბურთში შვეციის ჩემპიონის სახელი დაიმსახურა. ფინალში მან დაამარცხა თანამემამულე კ. ბარაზუტი — 4:6, 7:5, 6:2.

ბერნი. 23 წლის მექსიკელმა რ. რამირესმა ფინალში მოუგო იტალიელ ა. პანატას — 7:5, 6:7, 6:1, 6:3 და ჩოგბურთში შვეიცარიის ჩემპიონობა მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი 76

სსრ კავშირის ჩემპიონატი

დაძაბულ ბრძოლაში

კვირას დაიწყო მეორე წრის შეხვედრები. თბილისის გუნდები მოსკოვში თამაშობდნენ. ჩვენი დედაქალაქის „ლოკომოტივი“ ლიდერს — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის (მოსკოვის ოლქი) გუნდს შეხვდა. უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს გაგარინელებმა — 15:14. „სლავა“ (მოსკოვი) თბილისის „ივერიას“ მასპინძლობდა. „ივერია“ დამარცხდა — 10:14. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ფილი“ (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი“ (ნალჩიკი) 40:3, „სპარტაკი“ (კიევი) — „ავტომობილისტი“ (მოსკოვი) 18:11, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „პოლიტექნიკი“ (კიევი) 27:23.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსა	10	10	0	0	194:65	20
„სლავა“	10	8	0	2	130:75	16
„ფილი“	10	7	1	2	118:82	15
„სპარტაკი“	10	5	1	4	122:82	11
„ლოკომ.“ მ.	10	5	0	5	133:104	10
„ივერია“	10	4	1	5	67:113	9
„პოლიტ.“	10	2	2	6	129:130	6
„ლოკომ.“ თბ.	10	2	1	7	91:146	5.
„ავტომობ.“	10	2	0	8	84:132	4
„უნივერ.“	10	2	0	8	68:207	4

იქ, სადაც სპორტი უყვართ



შავგვრემანმა ჭაბუკმა სარმა გამოსდო მეტოქეს და დაბალმა ზღართანი მოადინა. მერე დაბალი წამოდგა, ენერგია მოიკრიბა და ხელახლა დაიწყო შერკინება. რამდენიმე წამს ერთმანეთს გარშემო უტრიალეს, თითქოს თვალით ზომავენო, მერე დაბალმა მხარი შესწია წრისკენ და ამ დროს მწვრთნელის ხმაც გაისმა:

— მიშა, რაც შეიძლება მეტად შებრუნდი, უკეთესი იქნება, — მიმართა დაბალს.

— თამაზ, ხელები ჩაჰკიდე მაგრად, — მიმართა ახლა თამაზ ბასილიძეს.

კვლავ აჩქეფდა სისხლი, ჭაბუკები ისე მღელვარებით ეჭიდებიან ერთმანეთს, თითქოს უამრავი მაყურებლის თვალწინ ატარებდნენ ბრძოლას. სხვა ბიჭებიც იქვე არიან, ზოგი ფეხებს ავარჯიშებს ხალიჩაზე, ზოგი — მკლავებს. მწვრთნელიც იქვეა — სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი, გეგონებათ ერთ წყვილს ჩაჰკირკიტებსო, სინამდვილეში კი ყველას შემოწმებას ასწრებს, უთითებს, უწონებს...

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტის სასახლეში (დირექტორი რ. მიქაძე) შექმნილ ძიუდოს შემსწავლელთა სექციაში მიმდინარეობს მორიგი მეცადინეობა, რომელსაც ატარებს სპორტის ოსტატი, თავისი საქმის კარგი მცოდნე და შრომისმოყვარე ახალგაზრდა დავით ბლიაძე.

— რამდენი ბავშვია გაერთიანებული სექციაში?

— ოცდახუთი, — მოგვიგებს იგი. — ძირითადად ჩვენთან მეცადინეობენ საავიაციო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შვილები, რომლებიც სწავლობენ მახლობელ სკოლებში. მეცადინეობა ტარდება კვირაში სამჯერ — ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს. თამამად ვიტყვი, რომ ბავშვები ავლენენ უნარსა და მონდომებას, სწავლობენ, ითვისებენ ჭიდაობის მოწინავე მეთოდებს...

სექციაში მეცადინეობს 17 წლის დავით ხუციშვილი, რომელმაც ახლახან სპორტის სასახლეში გამართულ ძიუდოისტთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ყველას აჯობა მძიმე წონაში. ავთანდილ სიდამონიძე „განთიადის“ ჩემპიონია, მერაბ ჩიმჩიური — თბილისის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის... სხვებიც ბევრნი არიან საიმედონი: — თამაზ ბასილიძე, დავით რაზმაძე, გენადი კიზიკურაშვილი, გერონტი კაპანაძე, სოლომონ როსტიაშვილი, დათო კაზიევი, პავლე ხუგაევი... სწორედ ამიტომ ამბობს მათზე მწვრთნელი დავით ბლიაძე: „როცა მეცადინეობისთვის ვემზადები, ვფიქრობ რაიმე ახალ ხერხსა თუ ილეთს მივაგნო. ჩემი სურვილია, რომ სექციის წევრები წვრთნას გადიოდნენ არა მხოლოდ დაშტამპული გზით, არამედ მოწინავე მეთოდებით, იძენდნენ გამოცდილებას, ჰქონდეთ კოლექტივიზმისა და ურთიერთპატივისცემის გრძნობა. ვცდილობ რომ მეცადინეობები კარგ პირობებში ჩავატარო. ჩვენი მოჭიდავეების ფართო სარბიელზე გამოსვლაში დიდად გვეხმარება თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი იაკობ ხვედელიანი“.

...მოზარდებს მაგრად ჩაუვლიათ ერთმანეთისთვის ხელები, მოგების სურვილი ამოძრავებთ მხოლოდ. წვრთნის დრო ისე იწურება, ვერც კი იგებენ. თითქოს არ უნდათ დარბაზის დატოვება. ხვალ ან ზეგ უმცროსი ასაკის მოჭიდავეები ქარხნის პირველობაში შეხვდებიან ერთმანეთს. ზოგს კი, უკვე აქვს გადადგმული თამამი ნაბიჯები დიდ სარბიელისკენ. ახლახან ჩატარებულ შეჯიბრებაში ბესარიონ მეტრეველმა და ელგუჯა ჯაბათაშვილმა ქება დაიმსახურეს...

გ. გოგინაშვილი.

* * *

სურათზე: მიმდინარეობს მეცადინეობა. მწვრთნელი დ. ბლიაძე გულმოდგინედ ადევნებს თვალს მოასპარეზეებს.

ვ. ძინძიბაძის ფოტო.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ავალანჟის განცხადება

ლონდონში მყოფმა ფიფა-ს პრეზიდენტმა ავალანჟმა (ბრაზილია) პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ილაპარაკა ჭაბუკთა შორის მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესახებ. მას ჰკითხეს, ხომ არ იქნება ეს პირველობა მსოფლიოს 1978 წლის თავისებური დუბლირებაო. ავალანჟის აზრით, ეს შიში უსაფუძვლოა, თუნდაც იმიტომ, რომ ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატები ჩატარდება კენტ წლებში, ძირითადი ჩემპიონატები კი — წყვილ წლებში, ამასთან ჭაბუკთა ჩემპიონატებში ზოგი ცვლილებაც განხორციელდება. მაგალითად, ეს იქნება მოთამაშეთა მინდვრიდან გაძევება მცირე ხნით, ვთქვათ 5-7 წუთით, დაახლოებით ისევე, როგორც ჰოკეიში.

ფრანგები ემზადებიან

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა იდალგომ განაცხადა, რომ მისი გუნდი ოლიმპიადის დამთავრებისთანავე დაიწყებს მზადებას მსოფლიო პირველობის შესარჩევი თამაშებისთვის.

24 აგვისტოს პარიზში ფრანგები საკონტროლო მატჩში ხვდებიან გფრ-ის ჩემპიონს „ბორუსიას“ (მიონჰენგლადბახი), ხოლო 1 სექტემბერს კოპენჰაგენში — დანიის ნაკრებს.

ამის შემდეგ იდალგო გამოაცხადებს გუნდის შემადგენლობას მსოფლიო პირველობის შესარჩევი თამაშების წინ.

ჩააგდეთ ბავშვი წყალში!

თავდაპირველად ამ სიტყვების გაგონებისას მეც ასევე შევშფოთდებოდი, შაპატიეთ და, შეიძლება უფრო მეტადაც, მაგრამ ახლა გთხოვთ ჩემთან ერთად დამშვიდდეთ. აღელვება მით უმეტეს ზედმეტია, რომ პრაღის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის სპეციალურ აუზში ძუძუთა ბალღებს კვირაში ორჯერ ყრიან წყალში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამისი წინააღმდეგი არავინაა.

პირიქით.

ერთ-ერთი ბავშვის დედა, ვერა ცვახოვა, რომელიც იქ ვნახეთ და შემდეგ გავესაუბრეთ, სრულიად დამშვიდებული ადევნებდა თვალს თავის პირმშოს — რიშას, როცა იგი დოცენტ მ. ჰოხის ნიშანზე წყალში ჩააგდეს... ბავშვი ჯერ მხოლოდ 250 დღის იყო. ჩემდა გასაკვირად არც რიშა დარჩენილა ამით უკმაყოფილო. კრიალა წყალში კარგად მოჩანდა ჩვილის ფართოდ გახელილი თვალები. იგი, დამსწრეთა აზრით, დიდი ინტერესით ათვალიერებდა ყველაფერს. ძალაუნებურად შეშინდებოდით წყალი ხომ არ გადაყლაპაო, მაგრამ არა, კარგად შევნიშნეთ, წყალში ჩაშვებისთანავე როგორ შეიკავა ბავშვმა სუნთქვა.

რატომ, ვისთვის ან რისთვის ხდება ყველაფერი ეს?

ნუთუ ეს ნაკარნახევია მხოლოდ მომავალში მსოფლიო რეკორდების დამყარების ან ოლიმპიური მედლების მოხვეჭის სურვილით? (თუმცა, რასაკვირველია, არც ესაა გამორიცხული).

აი, რას ამბობს თვითონ ვერა ცვახოვა: „არა, აქ იმისთვის არ მომიყვანია ჩემი რიშა, რომ მსოფლიო რეკორდსმენი გახდეს. საქმე ისაა, რომ ჩვენ კიდევ ერთი ვაჟი გვყავს, რვა წლის იარდა. იარდას ძალიან ეშინია წყლისა და ვერც ვაიძულეთ ესწავლა ცურვა. ერთხელ ჩემმა მეუღლემ ნახა საინტერესო ტელეგადაცემა, რომელიც ბავშვთა ცურვას ეძღვნებოდა. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი გაბედული გადაწყვეტილება, რომელსაც ყველა ჩვენი ნათესავი და კეთილისმსურველი მეზობელი აღშფოთებით შეხვდა. რიშა წყალს შევაჩვიეთ მეათე დღიდან. შემდეგ? შემდეგ კი დოცენტ ჰოხის მეთვალყურეობით განვაგრძეთ მისი „სწავლა-განათლება“. სულ მალე დავრწმუნდით, რარიგ კმაყოფილია რიშა „წყლის სამყაროში“. შინაც კი, მისი აბაზანიდან ამოყვანა პრობლემადაა გადაქცეული და ეს პროცესი ყოველთვის ჭირვეულობით, ცრემლების ღვრით მთავრდება. ეს კი, მოგვიტევეთ მშობლებო, მე და ჩემს მეუღლეს მხოლოდ ღიმილსა და ჭეშმარიტ სიხარულს გვგვრის“.

რიშა აუზიდან აბაზანაში გადაიყვანეს. აქ წყალი უფრო თბილი იყო (35 გრადუსი) და რიშასაც უფრო კმაყოფილი სახე ჰქონდა. ბავშვს თითქოს არც კი სჭირდებოდა გასაბერი ბალიში, რომელიც მამამ თავქვეშ ამოუდო, ზურგზე ნებივრად იწვა და ადვილად ინარჩუნებდა წონასწორობას. ეტყობოდა, რომ თავს კარგად გრძნობდა და პაწაწა, ფუნჩულა ფეხებს გამალებით უბათქუნებდა წყალს.

დოცენტი ჰოხი, როგორც იქნა, გათავისუფლდა და მისდამი ჩვენი პირველი შეკითხვა ასეთი იყო: აქვს თუ არა აზრი ამ წამოწყებას და, თუ აქვს, რაში გამოიხატება?

დოცენტი მიროსლავ ჰოხი:

„როგორც საერთოდ ყველა თაოსნობას, ჩემ წამოწყებასაც აქვს აზრი და მიზანი. მისი კეთილნაყოფიერებისა და აქტუალობის მასშტაბები თავად განსაჯეთ ძვირფასო მშობლებო. მე ვიკვლევ წყალთან ბავშვების შეგუების უნარს. საფუძვლიანი თეორიული გამოკვლევების შემდეგ სამი წლის წინათ შევუდექით პრაქტიკულ საქმიანობას. ბავშვებს მოსწონთ წყალი. გამონაკლისი იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა.

ჩვენ საქმე პროფესიულ ცურვასთან როდი გვაქვს. როგორც გამოკვლევებმა დამარწმუნა, ბავშვი ზუსტად იმავე მოძრაობებს აკეთებს წყალში, რასაც ხმელეთზე. უფრო ზუსტად, ჩვილი ერთდროულად და საკმაო წარმატებითაც ეგუება როგორც ხმელეთის, ისე წყლის გარემოსაც. ფეხის ადგმის შემდეგ კი ბავშვს აღარ იზიდავს ბანაობა, მით უმეტეს ცურვა. ყველაზე რთული და ძნელია პერიოდი ერთიდან ორ წლამდე. დაკვირვებას დიდი ხანია ვაწარმოებ. ყველა ბავშვი აღრიცხული მყავს. მე ვაკვირდები მათს შემდგომ განვითარებას. რაც მთავარია, მაინტერესებს დაანებებენ თუ არა ისინი თავს ცურვას, საერთოდ წყლის გარემოს.

დღესდღეობით დადგენილია პირველი დადებითი მონაცემები: ადრეულ ასაკში ბავშვი უფრო ადვილად და სწრაფად ითვისებს ცურვასა და წყალში სამოქმედო ძირითად მოძრაობებს. მერე ამ თვისებებს იგი უფრო მოხერხებულად, ძალდაუტანებლად იყენებს. ბავშვი უკეთ იკვებება, უკეთ სძინავს.

ჩვილის ორგანიზმს ვაკაჟებთ ტემპერატურის თანდათანობით დაქვეითებით, მკაცრად ვიცავთ ჰიგიენურ პრინციპებს და ამიტომ არც ერთი ბავშვი არ ხდება ავად“.

დარწმუნებული ვართ, რომ ბატონმა ჰოხმა მხოლოდ ზოგადი, ფართო მკითხველისთვის ხელმისაწვდომი ცნობები მოგვაწოდა. წინაა თეორიული და პედაგოგიური ძიებანი.

...აუზის გარშემო ჟივილ-ხივილი ატყდა. შენობა გაივსო საბავშვო ბაღის აღსაზრდელებით. დოცენტ ჰოხის ნიშანზე ბავშვები „ჯარისკაცურად“ გადაეშვნენ წყალში. მათ შორის ზოგი ექვსი წლისა იყო, ზოგი — ხუთის, ზოგიც ოთხისა. წარმოიდგინეთ, იყვნენ უფრო პატარებიც, მაგრამ არც ერთს არ ეშინოდა წყლისა.

„რა ყოჩაღი ბავშვები არიან“ — ჩაილაპარაკა ჰოხმა, როდესაც პატარებმა ცურვა დაიწყეს...

თუმცა, აქვე აღვნიშნავთ გულისტკივილით, რომ ადრეულ ცურვას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. მაგრამ, აბა თავად განსაჯეთ მამებო და დედებო, „მოწინააღმდეგეთა ბანაკის“ წარმომადგენლებო, რა სჯობია: შევაჩვიოთ ბავშვი წყალს სპეციალისტების მეთვალყურეობით, თუ გამუდმებით გვეშინოდეს, რომ იგი როდისმე თვითონ ჩავარდება წყალში და წყლის გარემოს შეგუებული არ იქნება?

იან ვანეკი
ჟურნალი „სტადიონი“
(ჩეხოსლოვაკია)

ჩეხურიდან თარგმნა
მანანა კიკნაძემ.

• • •

სურათებზე: ბავშვები წყალზე და წყალქვეშ.

„სტადიონის“ ფოტოები.

მოკლედ

● ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციას 1979 წლის დამლევამდე ჰქონდა დადებული კონტრაქტი ამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელ გ. კნობელთან, მაგრამ, როგორც ვიუწყებოდით, ევროპის ჩემპიონატის ამასწინანდელ ფინალურ მატჩებში კნობელს კონფლიქტი მოუხდა ნაკრების საუკეთესო მოთამაშეებთან და ფედერაციასთან. ამიტომ კონტრაქტი დაირღვა და კნობელი გადადგა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-86; კორექტორები — 93-97-49.